



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის

2020

წლიური ანგარიში



შინაარსი



- 2020 წლის დასრულებული და მიმდინარე კონკურსები
- ფონდის საერთაშორისო პროექტები
- ფონდის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები

წარმატების ინდექსები წლების მიხედვით

	2018	2019	2020
➤ წლიური პროგრამული ბიუჯეტი (ლარი)	29, 736, 239	30,466,184	28, 824, 430
➤ წარმატების ინდექსი	18%	22,4%	17, 5%



I საქართველოში გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა

- FR - ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2019 წლის კონკურსი - დაფინანსდა 2020 წელს





შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი ©

FR - ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2019 წლის კონკურსი (დაფინანსდა 2020 წ.)

FR


- წარმატების ინდექსი: 13,16%
- მონაწილე პროექტები: 509
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 21
- შეფასებული: 488
- გამარჯვებული პროექტები: 67
- გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტი 13,201,657
- 2020 წ. გაცემული ტრანშის ოდენობა 4,643,399



FR - ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2019 წლის კონკურსი (დაფინანსდა 2020 წ.)



გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის განაწილება ინსტიტუციების მიხედვით, ₾



პროექტების მთლიანი ბიუჯეტების ჯამი 13,201,657

კონკურსის განვითარების მიზნებისათვის შემუშავდა ცვლილებების შეთავაზების პაკეტი:

ევროპის კვლევების საბჭოსა და ევროპული ქვეყნების
ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო საგრანტო
კონკურსების შეფასების შედარებითი ანალიზი

მთავრობის დადგენილების, შეფასების კრიტერიუმებისა და
სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის დახვეწის
მიზნით, ონლაინ შეხვედრები სამეცნიერო საზოგადოებასთან და
ინსტიტუციებთან (12 შეხვედრა, 23 ინსტიტუციის
წარმომადგენელი 300-მდე მეცნიერის ჩართულობით)


დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების და სამეცნიერო
კლასიფიკატორის სამეცნიერო საზოგადოებასთან შეთანხმებული
კონსულტაციების შემუშავება და წარდგენა სამინისტროში

გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსი (მსოფლიო ბანკის GENIE პროექტის ფარგლებში)




- წარმატების ინდექსი: 45%
- მონაწილე პროექტები: 80
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 11
- შეფასებული: 69
- გამარჯვებული პროექტები: 36
- გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტი 8,892,366
- 2020 წ. გაცემული ტრანშის ოდენობა: 5,426,836


გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის განაწილება მასპინძელი ინსტიტუტების მიხედვით, ₾



გამარჯვებული პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტის განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით, %



Elsevier-ის კონსორციუმი- საერთაშორისო ბაზებზე წვდომა

- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სრული დაფინანსებით, **2019-2020** წლებში **55** წევრიან კონსორციუმს სრული წვდომა ჰქონდა ელსევიერის სამეცნიერო ბაზებზე: **Science Direct, Scopus, Funding Institutional;**
- 2020 წელს ფონდმა უზრუნველყო ბაზებზე **დისტანციური წვდომის** შესაძლებლობა;
- კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა **ვებინარები** ელსევიერის წარმომადგენლების და ფონდის თანამშრომელთა მხრიდან




- კონსორციუმი მოიცავდა:
 - სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს;
 - სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტებს;
 - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიას;
 - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას;
 - საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლონარდო და ვინჩი“




- წარმატების ინდექსი: 15 %
- მონაწილე პროექტები: 20
- კონკურსში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა - 57
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 0
- გამარჯვებული პროექტები: 3
- გამარჯვებული მოსწავლეების რაოდენობა - 9
- ბიუჯეტი: 50000 ლარი



მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

Leonardo

გამარჯვებული მოსწავლეების განაწილება დაწესებულებების მიხედვით




გამარჯვებული მოსწავლეების განაწილება კლასების მიხედვით




საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის კონკურსი

ZGP


- წარმატების ინდექსი: 10%
- მონაწილე აპლიკანტები: 10
- ტექ. ექსპერტიზისას მოხსნილი: 0
- გამარჯვებული აპლიკანტები: 1
- ბიუჯეტი: 8000 ლარი



გამარჯვებული განმცხადებლის სქესი




გამარჯვებული განმცხადებლის კვლევის სფერო



■ ისტორია, ქართველოლოგია, კავკასიური კვლევები

გამარჯვებული განმცხადებლის სამეცნიერო დაწესებულება




■ ვარშავის უნივერსიტეტი, ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრი


მათემატიკის 61-ე საერთაშორისო ოლიმპიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა შერჩევა

IMO 2020

- შესარჩევ ტურებზე დაშვებული მოსწავლეები: 126
- ტურებზე გამოცხადებული მოსწავლეები: 79
- ნაკრები გუნდის წევრები: 6




ნაკრები გუნდის წევრთა განაწილება სკოლის მიხედვით




სსიპ - ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა

მათემატიკის 61-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის შედეგები



ოქროს მედალი ვერცხლის მედალი ბრინჯაოს მედალი საპატიო სიგელი

ნაკრები გუნდის წევრთა სქესის მიხედვით განაწილება




გოგონები ვაჟები

ინფორმატიკის 32-ე საერთაშორისო ოლიმპიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა შერჩევ


IOI 2020

- შესარჩევ ტურებზე დაშვებული მოსწავლეები: 30
- ტურებზე გამოცხადებული მოსწავლეები: 27
- ნაკრები გუნდის წევრები: 4




■ შესარჩევ ტურებზე დაშვებული მოსწავლეები
 ■ ტურებზე გამოცხადებული მოსწავლეები
 ■ ნაკრები გუნდის წევრები

ნაკრები გუნდის წევრთა განაწილება სკოლის მიხედვით




■ სსიპ - ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა

ინფორმატიკის 32-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის შედეგები



■ ოქროს მედალი ■ ვერცხლის მედალი ■ ბრინჯაოს მედალი

ნაკრები გუნდის წევრთა განაწილება სქესის მიხედვით




■ გოგონები ■ ვაჟები

ბიოლოგიის 31-ე საერთაშორისო ოლიმპიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა შერჩევა

IBO 2020

- შესარჩევ ტურებზე დაშვებული მოსწავლეები: 30
- ტურებზე გამოცხადებული მოსწავლეები: 26
- ნაკრები გუნდის წევრები: 4



■ შესარჩევ ტურებზე დაშვებული მოსწავლეები
 ■ ტურებზე გამოცხადებული მოსწავლეები
 ■ ნაკრები გუნდის წევრები

ნაკრები გუნდის წევრთა განაწილება სქესის მიხედვით



■ გოგონები ■ ვაჟები

ნაკრები გუნდის წევრთა განაწილება სკოლის მიხედვით




■ შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლა
 ■ სსიპ - ქალაქ თბილისის №191 საჯარო სკოლა
 ■ სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა
 ■ სსიპ - ქალაქ ქუთაისის №12 საჯარო სკოლა


ქიმიის 52-ე საერთაშორისო ოლიმპიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის წევრთა შერჩევა

ICHO 2020

- შესარჩევ ტურებზე დაშვებული მოსწავლეები: 18
- ტურებზე გამოცხადებული მოსწავლეები: 11
- ნაკრები გუნდის წევრები: 4




ნაკრები გუნდის წევრთა განაწილება სკოლის მიხედვით



- სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა
- ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა
- გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
- სსიპ - აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა

ნაკრები გუნდის წევრთა სქესის მიხედვით განაწილება



■ გოგონები ■ ვაჟები

- შესარჩევ ტურებზე დაშვებული მოსწავლეები
- ტურებზე გამოცხადებული მოსწავლეები
- ნაკრები გუნდის წევრები

სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

- SRNSFG/CNR - ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს ერთობლივი საგრანტო კონკურსი (მიმდინარე)

ფონდის საერთაშორისო პროექტები

➤ **Caliper – Horizon2020 Science with and for society**

- ხანგრძლივობა 2020 – 2024 (48 თვე)
- ბიუჯეტი - 2, 896 475 ევრო (აქედან ფონდის ბიუჯეტი - 171, 250 ევრო)
- მიზანი - კვლევებში გენდერული თანასწორობის გეგმის შემუშავება (STEM მიმართულება)

➤ **EURAXESS Georgia Network Start Up**

- ხანგრძლივობა 2019-2022 (36 თვე)
- ბიუჯეტი - 200 000 ევრო
- მიზანი - ევრაქსესის ქსელისა და სერვისების განვითარება

➤ **Twinning Fiche**

ხანგრძლივობა 2020 -2022 (36 თვე)

ბიუჯეტი - 1, 300 000 ევრო

მიზანი - ინტერსექტორული თანამშრომლობის ხელშეწყობა კვლევასა და ინდუსტრიას შორის

კონსორციუმი - გერმანია (DLR), ავსტრია (Research promotion Agency, Austrian Science Fund, Environmental Agency Austria), ლატვია (Daugavpils university, Latvian State University)

ევროკავშირის პროექტი „CALIPER” -გენდერული თანასწორობის მისაღებად კვლევისა და ინოვაციების დაკავშირება

ფონდის, როგორც კონსორციუმის წევრის მიერ 2020 წელს განხორციელებული აქტივობები:

გენდერთან დაკავშირებული ვითარების შიდა და გარე შეფასება;

შეიქმნა ფოკუს ჯგუფები;

ჩატარდა ტრენინგები გენდერის კვლევის მიმართულებით;

გაიმართა კონსორციუმის სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, კონფერენციები, ვებინარები



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი ©

EURAXESS საქართველო - 2020 წლის აქტივობები

➤ EURAXESS-ში ინტეგრირდა საქართველოს ეროვნული პორტალი: **EURAXESS GEORGIA – www.euraxess.ge**


პორტალი დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას საქართველოს კვლევის გარემოსა და პირობების შესახებ.

➤ ამოქმედდა EURAXESS საქართველოს Facebook და Twitter გვერდები.

სოციალური ქსელის მეშვეობით სამიზნე აუდიტორიას მიეწოდება ინფორმაცია მკვლევართა მობილობისა და კარიერული განვითარების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების, ასევე EURAXESS - ის აქტივობების შესახებ.

➤ შეიქმნა EURAXESS საქართველოს საკონტაქტო პირების ქსელი.

ქსელი აერთიანებს 6 უნივერსიტეტს, თუმცა იგეგმება მისი გაფართოება და მასში სხვა ინსტიტუციების ჩართვა.



➤ ჩატარდა საინფორმაციო დღე მკვლევართათვის, თემაზე: „EURAXESS საქართველო - გასასვლელი ევროპული კვლევითი სივრცისაკენ.“

➤ ჩატარდა 9 ტრენინგი EURAXESS საქართველოს საკონტაქტო პირებისთვის, დაინტერესებული მკვლევრებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლებისათვის.

Twining პროექტი- „ ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობის მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“

2020 წელს განხორციელებული შედეგები

კომპონენტი 1

ევროკომისიის ერთიანი კვლევების ცენტრის (JRC) მხარდაჭერით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით დაგეგმილ ვებინარებში ფონდის მონაწილეობა- 2-9 დეკემბერი;

კომპონენტი 2

დაიწყო ფონდის საგრანტო კონკურსების მარეგულირებელ დოკუმენტებზე მუშაობა, მათი მოდერნიზება მეცნიერება - ბიზნესის თანამშრომლობის მიმართულებით; დაიწყო 2 ინიცირებულ საგრანტო კონკურსზე მუშაობა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით;

კომპონენტი 3

კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები; ევროკავშირის საგრანტო კონკურსის საპროექტო წინადადების შემუშავებაში ხელშეწყობა;

კომპონენტი 4

ინტერვიუების/შეხვედრების გამართვა მიზნობრივი აუდიტორიის მონაწილეობით; 2 - დღიანი ტრენინგი მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით. ასევე გაიმართა 3 მმართველი კომიტეტის შეხვედრა და 1 kick-off შეხვედრა.

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ცენტრის (ISTC) მმართველთა საბჭოს შეხვედრები


- ცენტრის (ISTC) მმართველი საბჭოს შემაჯამებელ შეხვედრაზე დადებითად შეფასდა საქართველოსთან მიღწეული თანამშრომლობის შედეგები და ორგანიზაციის ფუნქციონირებაში ფონდის მხრიდან შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი.
- შეხვედრაზე წარმოადგინეს ცენტრის სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს (SAC) სტრატეგია.
- მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ უახლოეს მომავალში საქართველო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (ISTC) სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოში (SAC) თავის წარმომადგენელს წარადგენს.
- ყირგიზეთის სამეცნიერო ფონდის ორგანიზებითა და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (ISTC) მხარდაჭერით შეიქმნა მეცნიერთა რეგიონალური საბჭო, რომელიც ითვალისწინებს კორონავირუსით გამოწვეული მასშტაბური პრობლემის ირგვლივ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების გაერთიანებას, რაც უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების სამეცნიერო წრეების მხრიდან გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი პროგრამების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას.

„ფრანგული ინსტიტუტის“ და ფონდის ერთობლივი საგრანტო პროგრამა

- 2020 წლის 24 დეკემბერს ხელი მოეწერა სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განახლებულ ვარიანტს.
- აღნიშნული შეთანხმების მიზანია საფრანგეთისა და საქართველოს მკვლევრების სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა ახალგაზრდა მკვლევრების მობილობის მხარდაჭერის გზით.

ფონდის ღონისძიებები

- 82 ღონისძიება 2020 წლის განმავლობაში
- 42 ღონისძიება - საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში
- შედგა შეხვედრები მეცნიერთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 300-მდე წარმომადგენელთან ფონდის მიერ ადმინისტრირებულ კონკურსებში პროექტების შეფასების კრიტერიუმებთან, სამომავლო საქმიანობის სტრატეგიასთან დაკავშირებით;
- 10 აქტივობა გაიმართა პროექტის „ონლაინ საჯარო ლექციების“ ფარგლებში - ფონდის გრანტიორებმა ჩაატარეს ლექციები მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით სტუდენტებისთვის, მოსწავლეებისთვის, პედაგოგებისთვის. *ფონდის ღონისძიებების ვრცელი ნუსხა იხ. დანართში*



Euraxess - საქართველოს“ შესაძლებლობები - საინფორმაციო შეხვედრა

- 17, 24 და 31 იანვარს გაიმართა 3 ტრენერთა ტრენინგი „EURAXESS პორტალი მკვლევრებისთვის“. ტრენინგებში მონაწილეოდნენ უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მიერ წარდგენილი პირები, რომლებმაც მიღებული ინფორმაცია შემდგომში უნდა გაუზიარონ საკუთარი ინსტიტუციის აკადემიურ პერსონალს. ტრენინგი ეხებოდა პორტალის მნიშვნელობას და მიზნებს, სერვისებს, მკვლევრების მობილობისა და კარიერული განვითარების საკითხებს.

შეხვედრა ფონდის მიზნობრივი კონკურსების გამარჯვებული პროექტების მონაწილეებთან

22 იანვარს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე შეხვდა ფონდის მიერ გამოცხადებული მიზნობრივი კონკურსების - ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების, საგრანტო კონკურსისა და საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების კონკურსის, ასევე საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებული პროექტების მონაწილეებს.



შეხვედრა ფრანგული ინსტიტუტისა და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებთან

- 27 იანვარს, რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საქართველოს ფრანგული ინსტიტუტისა და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილეს როგორც ამჟამინდელი ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, მიმდინარე პროგრამა, ასევე სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები კონკრეტულ ინსტიტუციებსა და ორი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებებს შორის.

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის შედეგების გამოცხადება

- 4 თებერვალს გამოცხადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგები. კონკურსში გაიმარჯვა 67-მა სამეცნიერო პროექტმა. კონკურსის მიზანია ახალი იდეების და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების შესწავლა-ანალიზი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი ©



შეხვედრა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრებთან

- 26 თებერვალს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრებს, მეცნიერთანამშრომლებს შეხვდა . შეხვედრაზე საუბარი შეეხო რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგებს, ქართველოლოგიური მიმართულების კვლევების, პროექტების შეფასების მეთოდს, არსებულ გამოწვევებს, სახელმწიფოს მიერ ქართველოლოგიური მეცნიერების მხარდაჭერის მნიშვნელოვან საკითხს.

შეხვედრა ისრაელის ელჩთან

- 2 მარტს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართა შეხვედრა საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, რან გიდორთან. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ისრაელს შორის სამეცნიერო სფეროში არსებული თანამშრომლობის გაღრმავების, ერთობლივი სამეცნიერო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

ტრენინგი Euraxess-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისთვის

- 3-4 მარტს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა Horizon 2020-ის მიერ დაფინანსებული პროექტის Euraxess TOP IV-ის ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგი Euraxess-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისთვის, რომელშიც მონაწილეობდნენ Euraxess Georgia Network Startup-ის პროექტის წარმომადგენლები, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის თანამშრომლები.



გამოცხადდა 2020 წლის მოსწავლე გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“


- 5 მარტს რუსთაველის სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა 2020 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“, რომელშიც მონაწილეობენ სახელმწიფო და კერძო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეები.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი ©



ვებინარი „Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების გამოყენება

- 11 მარტს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის თანამშრომელმა მირანდა თედეშვილმა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის ჩაატარა ვებინარი „Elsevier-ის სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესაძლებლობები“.




თანამშრომლობა რუსთაველის ფონდსა და სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიას შორის

- 8-12 მარტს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დელეგაცია იმყოფებოდა სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში, სადაც გაიმართა სამუშაო შეხვედრები როგორც სლოვაკეთის სახელმწიფო სამეცნიერო უწყებებთან, ასევე ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა და სრულად დაფინანსდა Slovak Aid- ის პროგრამა „Sharing Slovak Experience“ - ის ფარგლებში.

ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსი

- 26 მარტს გამოვლინდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული. პრემია ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორს, ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრის კავკასიოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელს, პროფესორ დავით ყოლბაიას მიენიჭა.




დისტანციური წვდომა Elsevier-ის პროდუქტებზე

- 6 აპრილიდან, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (Covid-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა უზრუნველყო ელსევიერის ბაზებზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობა კონსორციუმის წევრი ორგანიზაციებისთვის. Scopus-ისა და Funding Institutional-ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე დისტანციური წვდომის გასააქტიურებლად გამოყენებულ იქნა Check access-ის ფუნქცია.


რუსთაველის ფონდი „ჰორიზონტი 2020“-ის პროექტში CALIPER მონაწილეობს

- რუსთაველის სამეცნიერო ფონდი ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ დაფინანსებული პროექტის „CALIPER“ ბენეფიციარია. პროექტი გრძელდება ოთხი (2020 - 2024) წლის განმავლობაში და მიზნად ისახავს სამხრეთ და ცენტრალური ევროპის, ბალკანეთის და ბალტიისპირეთის რეგიონების კვლევის განმახორციელებელ ორგანიზაციებსა (RPO) და კვლევის დამფინანსებელ ორგანიზაციებში (RFO) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ქალი მკვლევრების რაოდენობის ზრდას STEM მიმართულებებში.



დისტანციური ლექცია „ენა და კულტურის ეკოლოგია“

- 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, პროექტის „ონლაინ საჯარო ლექციების“ ფარგლებში, ფონდის გრანტიორმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, თინათინ მარგალიტამემ მოსწავლე გამომგონებელთა კონკურსის - „ლეონარდო და ვინჩის“ გრანტიორებისა და მონაწილეებისთვის ჩაატარა დისტანციური ლექცია - საუბარი „ენა და კულტურის ეკოლოგია“.



რუსთაველის ფონდის და ELSEVIER- ის ერთობლივი ვებინარების სერია

- 27 და 29 აპრილს, ფონდის და მსოფლიოს წამყვანი საგამომცემლო სახლის, „ელსევიერის“ თანამშრომლობით ჩატარდა ვებინარები „ელსევიერის“ სამეცნიერო ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით. ვებინარები მოიცავდა სამეცნიერო ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებულ თემატიკას, მათ შორის, სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებისგან დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობებს.




საქართველო ღონისძიებას „ევროპელ მკვლევართა ღამე“ შეუერთდება

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ წარდგენილმა პროექტმა “CAPTAIN: Science is the Captain”, რომელმაც მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის “Horizon 2020” მარი სკლოდოვსკა-კიურის მიმართულების კონკურსზე „ევროპელ მკვლევართა ღამე“ გაიმარჯვა, სადაც 197 500 ევროს ღირებულების გრანტი მოიპოვა. ღონისძიება წარმოაჩენს კვლევის მრავალფეროვნებას, მეცნიერების კავშირს ყოველდღიურ ცხოვრებასთან.



დისტანციური ლექცია „ვაქცინების შექმნა და გამოყენება“

➤ 11 მაისს, შოთა ფონდის პროექტის „ონლაინ საჯარო ლექციების“ ფარგლებში, 2019 წლის ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამარჯვებულმა, ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდიის მფლობელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, თამარ ცერცვაძემ ფონდის გრანტიორებისთვის ჩაატარა ონლაინ ლექცია „ვაქცინების შექმნა და გამოყენება“. ღონისძიება გახსნა და შეაჯამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა.



ლექცია „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“

➤ მეორე მსოფლიო ომის დასრულების, ნაციზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, ფონდის გრანტიორებისთვის, პედაგოგებისთვის ისტორიის დოქტორმა, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა თემურ პაპასქირმა, პროექტის „ონლაინ საჯარო ლექციების“ ფარგლებში ჩაატარა ლექცია „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“.



ლექცია „საქართველოს ისტორია უორდროპების თვალთ“

- 15 მაისს, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წლის ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამარჯვებულმა, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდიის მფლობელმა საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, ფილოსოფიის დოქტორმა, ნიკოლოზ ალექსიძემ ფონდის გრანტიორებისთვის ჩაატარა დისტანციური ლექცია „საქართველოს ისტორია ოლივერ და მარჯორი უორდროპების თვალთ“.

ლექცია „ქართველ მეფეთა და დედოფალთა ეროვნული სამოსი“

- 18 მაისს, ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, ფონდის გრანტიორებისთვის, პედაგოგებისთვის გაიმართა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორის, გიორგი კალანდიას ლექცია თემაზე „ქართველ მეფეთა და დედოფალთა ეროვნული სამოსი“. ლექციაზე გიორგი კალანდიამ განიხილა ქართველ მეფეთა სამოსის ისტორია, დისტანციური შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით წარიმართა.



დისკუსია „პოსტპანდემიური საზოგადოება და მისი გამოწვევები“

- 22 მაისს, ფონდის ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „პოსტპანდემიური საზოგადოება და მისი გამოწვევები“. ამ საკითხის ირგვლივ შემდგარ დისკუსიაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელი ცნობილი მეცნიერები, ფონდის გრანტიორები. „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეებმა განიხილეს პანდემიის პრევენციის, მასთან ბრძოლის და მოსალოდნელი შედეგების სამედიცინო, სოციალ-ეკონომიკური, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური ასპექტები, მათი დაძლევის გზები.

ლექცია „26 მაისი-ისტორიული თარიღი“

- 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტიორებისთვის, პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის ისტორიკოსმა, დიმიტრი სილაქაძემ ჩაატარა დისტანციური ლექცია: „26 მაისი-ისტორიული თარიღი-საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე“. ლექცია ეხებოდა პირველი რესპუბლიკის შექმნის, დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდს, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.



ევროკავშირის მეცნიერების, კვლევისა და ინოვაციის პერფორმანსის (SRIP) მოხსენება 2020

27 მაისს, ფონდის წარმომადგენლები ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ ვირტუალურ შეხვედრას: "Science, Research and Innovation Performance of the EU 2020" დაესწრნენ. ვიდეო კონფერენცია ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის მიმართულების გენერალურმა დირექტორმა ჟან-ერიკ პაკემ გახსნა. ღონისძიება წარიმართა მოხსენებებისა და პანელური დისკუსიების ფორმატში, ხოლო თემატიკა მოიცავდა ევროპის კვლევისა და ინოვაციის სივრცეში შექმნილ მდგომარეობასა და პროცესების დინამიკას COVID – 19 გავრცელების პერიოდში.



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - ვებინარი „თინეიჯერი-მეცნიერება“

- 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პროექტის „ონლაინ საჯარო ლექციების“ ფარგლებში, ფონდის გრანტიორმა, ბიოლოგმა, მეცნიერების, გარემოს დაცვის, განათლების და განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა ლევან ბუთხუზმა ფონდის გრანტიორებისთვის, საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისთვის ჩაატარა ვებინარი „თინეიჯერი-მეცნიერება, გარემოს დაცვა და ზოგადი არჩევანი, როგორც ასეთი“.

- 3 ივნისს, გაიმართა პროექტ „Twinning“ – Supporting Inter – Sectoral Collaboration Possibilities Between Research and Industry“ მმართველი კომიტეტის პირველი დისტანციური შეხვედრა. შეხვედრა შედგა საქართველოსა და პროექტის განმახორციელებელ გერმანულ - ავსტრიულ - ლატვიურ კონსორციუმს შორის, რომელშიც საქართველოს მხრიდან მონაწილეობა მიიღეს მმართველი კომიტეტის წევრებმა.



„ კიბერუსაფრთხოება და დისტანციური მუშაობა“

- 14 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს, ფონდის გრანტიორმა, კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლის პროფესორმა მაქსიმ იავიჩმა მოსწავლეებისთვის, სხვადასხვა ასაკის დაინტერესებული პირებისთვის ჩაატარა ინტერაქტიული ონლაინ ლექცია „კიბერ უსაფრთხოება და დისტანციური მუშაობა“.



ონლაინ ტური აბასთუმნის ობსერვატორიიდან

➤ 2 ივლისს, პროექტის „ონლაინ საჯარო ლექციების“ ფარგლებში აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვაჟა ყულიჯანიშვილმა ჩაატარა ონლაინ ტური ობსერვატორიიდან, ისაუბრა ობსერვატორიის - ისტორიის, საქმიანობის, ქართველი ასტრონომების მნიშვნელოვანი აღმოჩენების, მათი სახელობის ციური სხეულების შესახებ.



2020 წლის ქიმიის 52-ე საერთაშორისო ოლიმპიადა

➤ 12 ივლისს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით გაიმართა 2020 წლის ქიმიის 52-ე საერთაშორისო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის პირველი შესარჩევი ტური.



2020 წლის ბიოლოგიის 31-ე საერთაშორისო ოლიმპიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის შესარჩევი ტურები

➤ 21 და 22 ივლისს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით გაიმართა 2020 წლის ბიოლოგიის 31-ე საერთაშორისო ოლიმპიადისთვის (IBO 2020) საქართველოს ნაკრები გუნდის შესარჩევი პირველი და მეორე ტური.



მათემატიკის 61-ე საერთაშორისო ოლიმპიადისთვის შესარჩევი ტურები

➤ 27- 28 ივლისს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით გაიმართა 2020 წლის მათემატიკის 61-ე საერთაშორისო ოლიმპიადისთვის (IMO 2020) საქართველოს ნაკრები გუნდის შესარჩევი პირველი და მეორე ტურები, რომლებშიც 80-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადისთვის შესარჩევი ტურები

➤ 3-4 აგვისტოს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით გაიმართა 2020 წლის ინფორმატიკის 32-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადისთვის (IOI 2020) საქართველოს ნაკრები გუნდის შესარჩევი პირველი და მეორე ტურები, რომლებშიც 30-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

ბიოლოგიის 31-ე საერთაშორისო ოლიმპიადა

➤ ბიოლოგიის 31-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე ქართველი მოსწავლეები იასპარეზებენ. წელს ოლიმპიადა იაპონიაში გაიმართება და მასში მონაწილეობას მსოფლიოს 80-მდე ქვეყნის მოსწავლე მიიღებს, თუმცა მსოფლიოში შექმნილი პანდემიური ვითარების გამო, ქართველი მოსწავლეებისთვის ოლიმპიადის თეორიული და პრაქტიკული ტურები დისტანციურად გაიმართა. შესარჩევი ტურები 11 -12 აგვისტოს ჩატარდა. ტურებში ქართველი მოსწავლეები რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან ჩაერთვნენ, სადაც საგამოცდო ოთახი, IBO-2020-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნების შესაბამისად მოეწყო და კომპიუტერული ტექნიკითა და სამეთვალყურეო კამერებით აღიჭურვა.



საქართველო - ევროპის ინფორმატიკის მე-4 ახალგაზრდული ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყანა

➤ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობით და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით 2-6 სექტემბერს ევროპის ინფორმატიკის მე-4 ახალგაზრდული ოლიმპიადა, რეკორდულად ბევრი, 30-მდე ქვეყნის მონაწილეობით ონლაინ რეჟიმში გაიმართა. ოლიმპიადა 2 სექტემბერს ელექტრონულ ფორმატში საზეიმო ცერემონიით გაიხსნა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ჩხენკელის, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ჯაბა სამუშიასა და ოლიმპიადის პრეზიდენტის გიორგი მანდარიას მისალმების შემდეგ შედგა ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების წარდგენა.




საქართველოს გუნდების წარმატება ევროპის ინფორმატიკის ოლიმპიადაზე

➤ 2-6 სექტემბერს ევროპის ინფორმატიკის მე-4 ახალგაზრდული ოლიმპიადა ონლაინ რეჟიმში გაიმართა. შესარჩევი ტურების შედეგად გამოვლინდნენ ოლიმპიადის გამარჯვებული გუნდები - ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელები. ოლიმპიადაზე წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებმა, ძირითადი გუნდის წევრებმა 1 ოქროს (ლუკა მოსიაშვილი), 1 ვერცხლის (იოსებ რიგვაა) და 1 ბრინჯაოს (ქეთა ციმაკურიძე) მედლები მოიპოვეს. ლუკა მოსიაშვილი ევროპის 4 უძლიერეს მოსწავლეს შორის მოხვდა. ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მეორე გუნდის წევრმა ლუკა მელაძემ.

დისტანციური შეხვედრები მეცნიერებთან - კვლევების შეფასების კრიტერიუმები

➤ 24 სექტემბერს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სამუშაო ონლაინ შეხვედრები გამართა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, მეცნიერ-თანამშრომლებთან, აკადემიურ პერსონალთან. შეხვედრაზე რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო საგრანტო კონკურსებში სამეცნიერო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დახვეწა-გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.



შეხვედრა საქართველოში აშშ-ის საელჩოს კულტურის ატაშესთან

➤ 1 ოქტომბერს საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ჯაბა სამუშიამ სამუშაო შეხვედრა გამართა აშშ-ის საელჩოს ახლად დანიშნულ კულტურის ატაშესთან, კრისტოფერ ანდერსონთან. მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და აშშ-ს შორის სამეცნიერო მიმართულებით არსებული თანამშრომლობა და თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე ისაუბრეს.



მრგვალი მაგიდა „ეპიდემიოლოგიური გამოწვევები- ერთობლივი მუშაობის რეგიონული მექანიზმის შექმნა“

➤9 ოქტომბერს, ყირგიზეთის სამეცნიერო ფონდის ორგანიზებითა და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (ISTC) მხარდაჭერით, ონლაინ ფორმატში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე - „ეპიდემიოლოგიური გამოწვევები - ერთობლივი მუშაობის რეგიონალური მექანიზმის შექმნა“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამეცნიერო ფონდებისა და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები. შეხვედრის თემა იყო მეცნიერთა რეგიონალური საბჭოს შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს კორონავირუსით გამოწვეული მასშტაბური პრობლემის ირგვლივ ქვეყნების გაერთიანებას.

პროექტის „კიბერუსაფრთხოების საბავშვო უნივერსიტეტი“ შემაჯამებელი პრეზენტაცია

➤13 ოქტომბერს გაიმართა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის „კომპიუტერული მეცნიერების და კიბერ უსაფრთხოების საბავშვო უნივერსიტეტი“ დისტანციური შემაჯამებელი პრეზენტაცია. პროექტის ხელმძღვანელია კავკასიის უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მაქსიმ იავიჩი. პროექტის მიზანია კიბერუსაფრთხოების შესახებ ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება.



ვებინარების სერია პროექტის „Family Shares“ ფარგლებში

➤ 19-20 ოქტომბერს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი „Caliper“-ის სამუშაო ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ვებინარის ორ სერიაში, თემაზე: „Families_Share: ტექნოლოგიების მიერ მართული ბავშვზე ზრუნვის ინოვაციური მეთოდები“. ვებინარები ორგანიზებულია პროექტის „Family Shares“ ფარგლებში, რომლის ძირითადი მიზანია სოციალური ქსელისა და საინფორმაციო პლატფორმის შექმნა, რაც დაეხმარება საზოგადოებას ბავშვებზე ზრუნვასა და ცხოვრების ბალანსის დაცვაში.



ონლაინ კონფერენცია „ახალი აქტუალური კვლევები ჰუმანიტარული მიმართულებით“

➤ 10 ნოემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით მიმდინარე ევროპულ მკვლევართა ღამის პროექტის “CAPTAIN - მეცნიერება კაპიტანია” ფარგლებში გაიმართა ონლაინ კონფერენცია „ახალი აქტუალური კვლევები ჰუმანიტარული მიმართულებით- ფონდის მიერ დაფინანსებული გამოცემების პრეზენტაცია“. მნიშვნელობაზე. 2019 წლის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული ჰუმანიტარული, ქართველოლოგიური სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელებმა წარადგინეს პრეზენტაციები.


პროექტ Caliper-ის კონსორციუმის შეხვედრა

➤10 ნოემბერს, პროექტ Caliper-ის სამუშაო ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო კონსორციუმის ყოველთვიურ შეხვედრაში. CALIPER წარმოადგენს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტს. პროექტი გრძელდება ოთხი წლის განმავლობაში და მიზნად ისახავს ორგანიზაციაში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, ქალი მკვლევრების რაოდენობის ზრდას STEM-მიმართულებებში.

Subtask	Description	Timeframe	Implementing Partner
D1.1 Internal assessments analysis	Ongoing internal assessment analysis with requests for additional inputs and/or clarifications to individual partners	Until Nov-20	VILabs/partners
D1.1 Review	Content review, further proofreading	Nov-20 to 25	SV, and all RPOs/RFOs
D1.3 Research on institutional change and collaboration with innovation ecosystems + External assessment analysis	Ongoing interviews and focus groups analysis, good practices description, analysis of external assessments from partners	Until Nov 20	SV/partners
D1.3 Review	Content review, further proofreading	Nov-20 to 25	VILabs/all RPOs/RFOs

კონკურს „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია

➤11 ნოემბერს, დისტანციურ რეჟიმში გაიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. ღონისძიება ჩატარდა პროექტის „კაპიტანი: მეცნიერება კაპიტანია“ ეგიდით. კომისიის გადაწყვეტილებით გამოვლინდნენ პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები.



პროექტი „მეცნიერება კაპიტანია“

➤ მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ევროკავშირის პროგრამის 'Horizon 2020' მარი სკლოდოვსკაია-კიურის (MSCA) კონკურსის „ევროპელ მკვლევართა ღამის“ გამარჯვებული პროექტის „მეცნიერება კაპიტანია“ განხორციელებას იწყებს. აღნიშნული პროექტით საქართველო საერთო-ევროპულ ფესტივალს „ევროპელ მკვლევართა ღამეს“ უერთდება, რომელშიც მონაწილეობას ევროკავშირისა და „ჰორიზონტი 2020“ ასოცირებული 30 ქვეყანა იღებს. პროექტის ძირითადი ღონისძიებები 27-28 ნოემბერს გაიმართება.



ISTC-ის COVID 19-ის პანდემიასთან ბრძოლის რეგიონალური სხდომა

➤ 13 ნოემბერს ყირგიზეთის სამეცნიერო ფონდის ორგანიზებითა და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (ISTC) მხარდაჭერით გაიმართა კოვიდ ინფექციასთან ბრძოლის რეგიონალური სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის სამეცნიერო ფონდების და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მეცნიერთა რეგიონალური საბჭოს შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ახალი კორონავირუსით გამოწვეული მასშტაბური პრობლემის ირგვლივ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების გაერთიანებას, გამოცდილების გაზიარებას.


საერთაშორისო ონლაინ ტრენინგი “სამეცნიერო კომუნიკაციის აქტივობების მომზადება”

➤ 19-20 ნოემბერს, ევროპული პროექტების სინერჯის მიზნით, Twinning-ის პროექტის „ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“ ფარგლებში დისტანციურად ჩატარდა ტრენინგი მეცნიერების კომუნიკაციაში ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის მარი სკლოდოვსკა-კიურის პროგრამის “ევროპელ მკვლევართა ღამის” პროექტის „მეცნიერება კაპიტანია“ ეგიდით. ტრენინგში მონაწილეობდნენ DAAD-სა და ფონდის ერთობლივი კონკურსისა და ახალგაზრდა მეცნიერთა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული მეცნიერები.



კონფერენცია „ახალი გამოცემების პრეზენტაცია“

➤ 24 ნოემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით მიმდინარე ევროპელ მკვლევართა ღამის პროექტის “CAPTAIN - მეცნიერება კაპიტანია” ეგიდით გაიმართა ონლაინ კონფერენცია „ფონდის მიერ დაფინანსებული ახალი გამოცემების პრეზენტაცია - აქტუალური კვლევები სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით“. ღონისძიება ჩატარდა 2019 წლის საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში.



ონლაინ კონფერენცია „მეცნიერებისა და ბიზნესის თანამშრომლობა“

➤ 27 ნოემბერს, ევროპული პროექტების სინერჯის მიზნით, Twinning-ის („ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“) ფარგლებში, ჩატარდა ონლაინ ღონისძიება მეცნიერებისა და ბიზნესის თანამშრომლობის გააქტიურების თემაზე მარია სკლადოვსკა-კიურის პროგრამის “ევროპულ მკვლევართა ღამის” პროექტის „მეცნიერება კაპიტანია“ ეგიდით.




ევროკავშირის კვლევასა და ინდუსტრიას შორის თანამშრომლობის გაღრმავების პროექტი

➤ 27 ნოემბერს ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების 2-წლიანი პროექტის „ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის“ სასტარტო ღონისძიება ჩატარდა. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 1 300 000 ევროს და ითვალისწინებს საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის პრიორიტეტებსა და გამოწვევებზე მუშაობას ინტერდისციპლინარული მიდგომის, კოლაბორაციული კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების გზით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად. პროექტი ითვალისწინებს ავსტრიელი, გერმანელი და ლატვიელი ექსპერტების თანამშრომლობას ქართველ კოლეგებთან, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის შესაძლებლობების გაძლიერებისა, მოქმედი პროგრამების და აქტივობების დახვეწის გზით.

სამეცნიერო-პოპულარული ლექციები მოსწავლეებისთვის

➤ 24-30 ნოემბერს, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, პროექტის - „მეცნიერება კაპიტანია“ ფარგლებში ონლაინ რეჟიმში ჩატარდა სამეცნიერო-პოპულარული ლექციების ციკლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უფროსკლასელებისთვის. ლექციებს უძღვებოდნენ რუსთაველის ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის(DAAD) ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსისა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსების გამარჯვებულები.




ახალგაზრდა მეცნიერების დაჯილდოება

➤ 1 დეკემბერს, რუსთაველის სამეცნიერო ფონდში გაიმართა წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის (ISTC) 25 წლის იუბილესთან დაკავშირებული ახალგაზრდა მეცნიერთათვის გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულების, პირველი ადგილის მფლობელის - თორნიკე ქიმერიძის, მეორე ადგილზე გასული ნინო გიორგაძის რუსთაველის სამეცნიერო ფონდის სიგელებით დაჯილდოების ცერემონია. ახალგაზრდა მეცნიერებს სიგელები გადასცა ფონდის გენერალურმა დირექტორმა ჯაბა სამუშიამ, ახალგაზრდა მეცნიერებს მომავალში წარმატებული საქმიანობა უსურვა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ზურაბ ხონელიძემ.

ISTC მმართველი საბჭოს შეხვედრა

➤ 2 დეკემბერს, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის (ISTC) მმართველი საბჭოს შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მასში შემავალი წევრი სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე რუსთაველის ფონდის მხრიდან ხაზგასმით აღინიშნა საერთაშორისო სამეცნიერო ტექნოლოგიურ ცენტრთან თანამშრომლობის მნიშვნელობა როგორც საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების, ასევე ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის. ცენტრის მმართველი საბჭოს მხრიდან დადებითად შეფასდა საქართველოსთან მიღწეული თანამშრომლობის შედეგები და ორგანიზაციის ფუნქციონირებაში ფონდის



პროექტი Caliper-ის კონსორციუმის მმართველი გუნდის შეხვედრა

➤ 15-16 დეკემბერს გაიმართა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტ „CALIPER“-ის მმართველი გუნდის მეორე შეხვედრა. შეხვედრაზე დამსწრე, კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების საკითხი.




პრეზენტაცია „1836 - 1927 წლების რუსულ პრესაში ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა“


➤ 21 დეკემბერს ჩატარდა ფონდის 2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის "1836 - 1927 წლების რუსულ პრესაში ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა" – მოძიებულ მასალაზე შექმნილი სამეცნიერო სტატიების კრებულის ონლაინ პრეზენტაცია. პროექტი მიზნად ისახავს რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ ქართული ფოლკლორული მასალის შეგროვებასა და შესწავლას. პროექტის პირველ ეტაპზე მოხდა მასალის მოძიება, მეორე ეტაპი დაეთმო მასალის ანოტირებასა და ანოტირებული კატალოგის შექმნას. მესამე ეტაპზე კი დამუშავდა მასალა და მათზე დაყრდნობით შეიქმნა სამეცნიერო სტატიები.



Twining- ის მმართველი კომიტეტის შეხვედრა

➤ 28 დეკემბერს გაიმართა პროექტის - “Twining ინტერსექტორული თანამშრომლობის შესაძლებლობის მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის” მმართველი კომიტეტის მესამე შეხვედრა დისტანციურ ფორმატში. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს პროექტის განხორციელების შემდგომი ნაბიჯები და ისაუბრეს განახლებული კომუნიკაციის გეგმის დამტკიცების შესახებ. Twining პროექტი ფინანსდება ევროკომისიის მიერ, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი წარმოადგენს პროექტის ბენეფიციარ ორგანიზაციას. პროექტი მიზნად ისახავს მეცნიერებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.





შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

გმადლობთ ყურადღებისთვის!

www.rustaveli.org.ge